წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 27 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ერთ ერთი რიგით სამგლოვიარო განცხადებები დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამ გამოცხადებ ... ნაშუადღევის 2 საათ . . . 8 მ.
2 საათის შემდეგ . . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 15 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 24 აპრილიდან. თავისუფლობის ზეიმი ბაქოში 12 მარტს ნამდვილიდან. ღამის ფრთები მხატვრ. დრამა 5 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. ლილიპუტა და არწივის თვალი სახუმარო.

ელექტრო. ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 24 აპრილიდან თავისუფლების ზეიმი ბაქოში 12 მარტს ნამდვილიდან. „მეგობარო, კრინტი არ დასძრა" „ცხოვრების მდინარე„ მხატვრული დრამა 4 ნაწილად ბ-ნი ბაკშეევისა. ქ-ბნ ორლოვისა და პანოვის მონაწილეობით „ვინაა ოთახში?!"

ხუთშაბათს, 27 აპრილს ელექტრო-თეატრ

„რადიუმში" და "ამპირში"

გაიმართება სეანსები

ქუთ. ბეჭდვითი-საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოთ

კავშირის ბიურო მოუწოდებს ამხანაგ მუშებს და ყველა თანამგრძნობ მოქალაქეთ შეიძინონ ბილეთები, რითაც ხელს შეუწყობენ კავშირის ნივთიერად უზრუნველყოფას.

ამხანაგებო ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს მუშათა კავშირის გასაძლიერებლათ. იყიდეთ ბილეთები დანიშნულ დღისთვის.

ბიუროს პრეზიდიუმი.

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგდოების გამგეობა.

თანახმად წესდების მე-10 მუხლისა, აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 30 აპრილს 1917 წ. დილის 11 საათზე გამგეობის სადგომში სამსონ ბოკერიას სახლში, თბილისის ქუჩაზე. კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს ნაკლებ 1/10 ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, გამგეობა, თანახმად წესდების 16 მუხლისა, მოიწვევს მეორე კრებას, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ გამოცხადებულ რაოდენობისა. გასარჩევია შემდეგი: კითხვები.

1. 1916 წლ. წლიური ანგარიში.
2. 1917 წლის ხარჯთა აღრიცხვა.
3. გამგეობის წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
4. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

## საგულისხმო ნაბიჯი.

ჭეშმარიტად მრავალ ტანჯულია საქართველოს ეკლესია!

ჭეშმარიტად საყურადღებოა მისი წარსული და აწმყო მდგომარეობა!

ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანიელის ქადაგებაზე აღმოცენებული, შემდეგ წმინდა ნინოს მოღვაწეობით განმტკიცებული დიდებული ივერიის ეკლესია 14 საუკუნე არსებობდა ნაყოფიერად და სასახელოთ. მისი შინაგანი სიწმიდე და გარეგანი სიმაგრე ვერ შეარყია ვერც ურწმუნოთა თარეშმა, ვერც ბარბაროსთა მახვილმა. მედგრათ იბრძოდა ქართველი ერი და სასახელოთ ინახავდა თავის სპეტაკსა და ნათელ ეკლესიას.

ბრძოლაში დაბადებულმა და გმირობაში ხასიათ გამოჭედილმა ქართველმა ერმა შეინახა თავისი ეკლესია, მართმადიდებელმა ეკლესიამაც ნაზათ აღზარდა და მშობლიურის მფარველობით დაიფარა მორწმუნე ერის მაღალი სინდისი და წმინდა ზნეობა ქართველის ერის უმრავლესობა თავისუფალ მართმადიდებელ ეკლესიაში განსახიერდა. საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის უმრავლესობის არსებობა შეკავშირებული იყო მართმადიდებელ თავისუფალ ეკლესიასთან. ეკლესიას ებარა ეროვნული სიწმინდე: ენა, სინდისი, ზნეობა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს მოხდა საოცარი უბედურება. ვინმე ტორმასოვმა თავისი ძალმომრეობით გაანადგურა საქართველოს ეკლესია. ერთი კალმის მოსმით მოსპო მისი თავისუფლება, დაატყვევა კათალიკოსი და შელახა ეროვნული სიწმინდე.

მრავალ ტანჯული საქართველოს ეკლესია, რომელმაც გაუძლო ქართველებთან აზიელთა დაუსრულებელ ომებს, ტყვეობაში ჩავარდა.

დღეს, როდესაც სინდისის თავისუფლება საჯაროთ გამოცხადდა, დღეს, როდესაც ძველი მთავრობის „მოღვაწეობა" სავსებით დაიმსხვრა და ყოველ ტანჯულ ტყვეს თავისუფლება მიენიჭა, დღეს, როდესაც ახალი მთავრობა იცავს სიმართლეს, კანონიერებას და სპობს ყოველგვარ ძალმომრეობას, დღეს, როდესაც წარსული გზა რუსეთის მთავრობისა საქვეყნოთ იგმობა და განზრახ ისპობა ყოველი ნაშთი ძველი მფლობელობისა, საქართველოს ეკლესიას მაინც არაფერი ეშველა. 12 მარტს მოხდა დიდებული რევოლუციონური აქტი. საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებამ და ერის წარმომადგენლებმა გულის სიღრმედან აღმოხეთქილი წმინდა ჰიმნის გალობით დაამტვრიეს საპყრობილეს კარები და გამოიყვანეს დატყვევებული საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია. ამ დიდებულმა აქტმა სავსებით დაამშვიდა ერის შელახული სინიდისი.

ყველას ეგონა, რომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა ის, რაც საჭირო იყო და რასაც შესწორება აღარ სჭირდებოდა.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

საგულისხმო ნაბიჯი.
ი. გომართელი—წერილი ორ ამხანაგს!
აკაკი—ლექსი.
რუსული პრესა.
ი. იმერელი—რა ხდება საბერძნეთში.
ჯიხ.—ომი.
ნ. ასათიანი—წერილები ჯარიდან.
მ. ბუაჩიძე—მასწავლებელთა მიმართ.
ჟ. კიკნაველიძე—სპარსელი ქართველები.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები.
მსოფლიო ომი.
ქუთაისისა და ტფილისის ქრონიკა.
რუსეთი, საპროტესტო დეპეშები, ჟურნალ-გაზეთებიდან.
ახალი ამბავი.

### მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს? (Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცნიერების მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში" პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს.

რედაქცია

სულ სხვასა ვხედავთ.

საქართველოს ეკლესიის მტრები არა სცხრებიან. აქეთ იქით მიმალული, ჩუმი შეთქმულობით, შეუწყნარებელი საშუალებით, შესძახიან ახალ მთავრობას, რომ მან 12 მარტის დიდმნიშვნელოვან აქტს ძალა დაუკარგოს. აი, ამის გამო პროფესორი, მეცნიერების წარმომადგენელიც კი, რაღაც რყევაშია და ვერ გადაუწყვეტია სრული სიმართლის აღდგენა ბენეშევიჩი ცდილობს საქართველოს ეკლესია არა კანონიურ გზაზე დააყენოს; ბენეშევიჩი ცდილობს ტერიტორიული ეკლესია უტერიტორიოთ აქციოს.

ბენეშევიჩის განზრახვა სამღვდელოებაში და მორწმუნე ერში აღშფოთებას იწვევს.

მრავალ-ტანჯული საქართველოს ეკლესია კიდევ საფრთხეში ვარდება, ერის შელახული სინიდისი კიდევ არ თავისუფლდება. ამიტომ იმერეთის სამღვდელოება სამართლიან პროტესტს აცხადებს და მოითხოვს სამართლიანობას; მოითხოვს იმას, რასაც უკარნახებს ყოველ ადამიანს მოქალაქობრივი მოვალეობა და სინიდისი.

სამღვდელოების პროტესტს სრულიად უერთდება ჩვენი რედაქცია და გადაჭრით მოითხოვს საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს ის, რაც ვერაგულათ წაერთვა: ტერიტორიული ავტოკეფალია.

ახალმა მთავრობამ, როგორც ძველი რეჟიმის დამამხობელმა, ეს უნდა აასრულოს.

## რუსული პრესა.

(პეტროგრადის ამბების შესახებ)

„რუსკ. სლოვო" და „რუსკ. ვედ." დროებით მთავრობას აფრთხილებენ, რომ მან რყევას თავი დაანებოს და ერთ გზას დაადგეს.

სოციალ-დემოკრატიული პრესა მეტად აღელვებულია მთავრობის უკანასკნელი ნოტით. გაზ. „სოციალ-დემოკრატი" სწერს: ნიღაბი ჩამოხსნილია. მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს ჰმართებს ხელ ახლა განიხილოს თავისუფლების სახის კითხვა.

რეჩი: კრიზისი დამთავრებულია, უბედურება აშორებული, საქმე უთუოდ მოკლე ხანში გამოსწორდება, გაუგებრობა გაქრება.

„ბირჟ. ვედ." მდგომარეობა იმედის მომგვრელია. დროებითი მთავრობის და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა თათბირი შეთანხმებულ მოქმედების გარანტიას გვაძლევს.

„ახალი ცხოვრება" („Новая жизнь") სწერს: მუშებმა უღალატეს საერთა შორისო დემოკრატიის და ციმერვალდების პრინციპს, როდესაც სესხს მხარი დაუჭირეს. „დენი": დროებითი მთავრობა მხოლოდ ბურჟუაზიულ წრეებში პოულობს ნდობას, ხალხი მას არ თანაუგრძნობს. სახელმწიფოს ინტერესებისთვის „დენს" საჭიროდ მიაჩნია სასწრაფოდ შედგენილ იქნას კოალიციური სამინისტრო.

## რა ხდება საბერძნეთში.

საბერძნეთმა დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა, არც მწვადსა სწვავს და არც შამფურსაო", სწერდა ამას წინად გაზ. „უტრო როსსია" მართლაც ამ მსოფლიო ომში საბერძნეთის ოდენი ყურადღება არც ერთ პატარა ერს მიუქცევია. მისი ყოფნა განსაცვიფრებელი იყო. ცენტრალ და ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოს დიპლომატებმა მეფე კონსტანტინესთან ვერა გააწყვეს რა, დღეს ერთს ეფიცებოდა კონსტანტინე ერთგულებას და ხვალ მეორეს. საბერძნეთი ნათლად ხედავდა იმ პატარა ერთა საშინელ ბედს, რომელნიც დაუზარებლად ვარდებოდნენ ომის ქარ ცეცხლში. საბერძნეთი შიშობდა ომში ჩარევას, რადგან ამაში თავის წახდენას ხედავდა, მაგრამ ყველას ის უკვირს, რომ საბერძნეთი ორ ნაწილად გაიყო, ერთს ჰქვია ვენიზელოსის საბერძნეთი და მეორეს მეფე კონსტანტინესი. ვენიზელოსი ინგლის-საფრანგეთის უჭერს მხარს და მათ დასახმარებლად ჯარიც შეადგინა.

როგორ გავიგოთ ეს მოვლენა? რომელი საბერძნეთია სამშობლოს უკეთესი დამცველი? ან რომელი უფრო ტაქტიკურად მოქმედებს? ან მართალია ის ხმა თითქოს მეფე კონსტანტინეს და ვენიზელოსს ერთი პირი ჰქონდეთ, მხოლოდ ცალ-ცალკე დეკორაციისთვის მუშაობენ, რომ მტერსაც და მოყვარეს თვალი აუხვიონო. ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხის მოცემა მეტად ძნელია. მაგრამ ერთი ცხადია, რომ საბერძნეთი დიდ სახელმწიფოთა მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ორად გაჰყო. მოკავშირეთ ემხრობა მშრომელთა კლასი, და მსხვილი კაპიტალისტები, რადგან მათგან სარგებლობას მოელიან. განსაკუთრებულ პოზიციებს ეყრდნობიან მეფე და ჯარის უმრავლესობა, მესაკუთრე გლეხობა და მოხელეები. ამათის აზრით საბერძნეთს საკუთარი ჭკუა უნდა ჰქონდეს და საკუთარ პოლიტიკით მოქმედებდეს. მეფე კონსტანტინეს არც ერთ დიდ სახელმწიფოს ორიენტაციას არ სთვლის საბერძნეთისთვის საკეთილდღეოდ.

მაგრამ საბერძნეთის არევ-დარევის და სხვა და სხვაობის მიზეზად სვენ საბერძნეთის გეოგრაფიული მდგომარეობაც მიგვაჩნია. პატარა საბერძნეთი გარდა ნახევარ კუნძულისა მრავალ კუნძულებად არის დაყოფილი. თითოეული კუნძული ცალკე ცხოვრების სახეს წარმოადგენს. ზოგიერთი კუნძულისთვის ერთი რამ, რომ აუცილებელი და საჭიროა, მეორესთვის ის ყოვლად მიუღებელია. ეს ხდება დღეს საგარეო პოლიტიკაშიც. ათინა უფრთხის გარემოცვას, მაგრამ ეს ასეთივე საშიში არ არის დანარჩენ კუნძულებისთვის, რადგან სურსათი იქ ადგილობრივად აქვთ. კერძო დეპეშები იტყობინებიან, რომ მეფე კონსტანტინე გადააყენეს და სამეფოს გამგებლობა ვენიზელოსმა ჩაიბარაო.

ეს კერძო ცნობა რამდენად მართალია ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის ცხადია, რომ საბერძნეთის ხალხის ერთობის შექმნა ძნელი ყოფილა. და მეფე კონსტანტინეს გადაყენება მართალიც რომ იყოს, საბერძნეთის სახელმწიფო ინტერესს ბევრს არას შემატებს.

ი. იმერელი.

## მსოფლიო ომი.

(პ. ტ. ს.)

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 23 აპრილი. ოფიციალი. ღამით მტერი სცდილობდა გაეუმჯობესებია თავისი მდგომარეობა. ლივერიეს აღმოსავლეთით მდებარე ადგილები, რომელიც მტერმა იძულებით დასტოვა, შეეცადა უკან დაებრუნებია, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ გაცხოველებულ ბრძოლის შემდეგ მტერმა დიდი ზარალი ნახა. ხსენებულ ადგილების ჩრდილოეთით ჩვენ მოვახდინეთ რამდენიმე ენერგიული თავდასხმა. სოფელ გონელიეს ჩრდილოეთით საგრძნობლათ შევიჭურით მტრის მოწინავე პოზიციებში. მტერი ვაიძულეთ ახალი პოზიციები დაეკავებიათ. ავაფეთქეთ მტრის სიმაგრეები. გასულ ღამით მტერმა კიდევ მოიტანა უნაყოფო იერიშები ჩვენს წინააღმდეგ. დილით ჰინდერბურგის აღმოსავლეთით მტერმა იერიშები განაახლა.

ჩვენ ენერგიულად უპასუხეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ.

მდ. სუშეს სამხრეთით ჩვენ მიერ წარმოებულ ოპერაციის დროს დავიკავეთ ნაწილი მტრის მოწინავე პოზიციებისა.

**პარიზი.** 22 აპრილი. ოფიციალი. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით კერძო ოპერაციების დროს დავიკავეთ საყრდნობი პუნქტი. შმენდედამის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო მთელი დღის განმავლობაში. გერმანელები ჩვენს წინააღმდეგ კონტრ იერიშების მოტანას. კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენ მიერ წამოყვანილი ტყვეების რიცხვი აღემატება 6100 კაცს. ჩვენი არმიის ერთმა კორპუსმა რომელიც მოქმედებს ბრეანლანუს ჩრდილოეთით საკუთარის ძალებით წამოიყვანეს 1880 ტყვე. დაიკავეს მტრის ბრძოლის ხაზი და სიმაგრეები 4 კილომეტრის სიგრძეზე.

**ჰავრი.** 23 აპრილი ბელგეთის ცნობა. საარტილერიო სროლაა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. ოფიციალი. მდ. ბერეზინასთან დერპადეშნის მიდამოებში, მტრის მზვერავი რაზმი სცდილობდა ჩვენი თხრილების მოახლოებას. მზვერავთა რაზმი არტილერიის ცეცხლის შემწეობით გავფანტეთ. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით მძლავრად უშენდით მტერს. ცეცხლის ძალით მტერი თავის თხრილებს შეეფარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. ოფიციალი

მტრის ცდამ, იერიშები მოეტანა ჩვენს წინააღმდეგ უნაყოფოდ ჩაიარა. ასპარეზის სხვა ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**კავკასიის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. ოფიციალი კიგის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოსმალების უმნიშვნელო იერიში მოვიგერიეთ. აშაგისა და სუვაკის ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში ოსმალების ერთი ბატალიონის მიერ მოტანილი იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ადგილებში, სროლა და დაზვერა გრძელდება.

**მაკედონიის ასპარეზზე.**

**სოლუნი.** 23 აპრილი. ოფიციალი. ასპარეზის დიდ ნაწილებში ორივე მხრიდან საარტილერიო ცეცხლი. გერმანელები უშვებდენ მხრჩოლავ გაზებს. მტრის არტილერია უშენდა ჩვენს პოზიციებს ვარდარის ახლოს მოხდა ენერგიული შეტაკება ბრძოლის დროს წინ წავიწიეთ 1000 მეტრის სიგრძეზე.

ხუთი მეტრის სიგრძეზე ბულგარელებმა განაახლეს კონტრ-იერიში ბერძენთა პოლკის წინაალმდეგ. კონტრ—იერიში მოგერიებულ იქნა. ტყვედ წამოვიყვანეთ 16 ბულგარელი.

**იტალეთის ასპარეზზე.**

**რომი.** 22 აპრილი. ოფიციალი. გრძელდება საარტილერიო სროლა. ასტიკოს მიდამოებში აზიაგოს მთიან ადგილებში მონტენცუნის მთის კალთებზე, ჩვენი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალები. იულის ალპების ასპარეზზე მტრის არტილერიამ დიდი ენერგია გამოიჩინა. კარსოს სამხრეთ ნაწილში გაძლიერებული ცეცხლის შემწეობით ვესროდით იულჩ-ადრომოს ახლო მახლო მდებარე ადგილებს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მტერმა დაიკავა ჩვენი თხრილი. გორიცას სამხრეთ აღმოსავლეთით იერიშები ჩვენის პოზიციების წინააღმდეგ მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება**

**ლონდონი.** 24 აპრილს ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მტრის ჰაეროპლანმა ჩამოაგდო 4 ყუმბარა დაიჭრა და მოკვდა რამდენიმე კაცი და ქალი.

**პეტროგრადი** 24 აპრილი. ჩვენი არტილერიის ცეცხლის საშუალებით ჩამოვაგდეთ გერმანელების მფრინავი. აურგუმორის მიდამოებში. ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 მფრინავი ოფიცერი. გერმანელების თვითმფრინავების ესკადრამ ყუმბარები ჩამოყარა.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**გერმანელთა პროკლამაციის ნიმუში.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** 23 აპრილი. ბრძოლის ასპარეზიდან ჩამოსულმა ჯარისკაცმა „ნიჟნი ნოვგოროდის ფურცლის" რედაქციას გადასცა იმ პროკლამაციის ნიმუში, რომელსაც მრავალად ჰყრიდენ გერმანელი მფრინავები რუსთა პოზიციებზე. პროკლამაციაში ჯარისკაცებს მოუწოდებენ: გერმანელთა ჯარში გადადით მხოლოდ დღისით და პარლამენტური ნიშანი აჩვენეთ. მედგრათ დაიცავით ზავი, რადგან მხოლოდ ზავი გამოგვიყვანთ თხრილებიდანო. დასასრულ ატყობინებენ: რუს და გერმანელ ჯარისკაცთა შორის თავისუფალი დამოკიდებულებაა, თხრილებიდან გამოსულს პარლამენტური ნიშანი თუ არ ექნა, შესაძლოა ესროლონო.

**ეპისკოპოსი ნიკონი.**

**კრასნოიარსკი,** 23 აპრილი ერის კაცთა და სამღვდელოების საეპარქიო ყრილობამ ეპისკოპოსი ნიკონის მოღვაწეობის მკაცრი კრიტიკის შემდეგ დაადგინა დიდი ხმის უმეტესობით სთხოვოს სინოდს ნიკონის გადაყენება.

**პელიკან მეჩნიკოვი.**

**ოდესა,** 23 აპრილი სენატორ ტრეგუბოვის წინადადებით სამხედრო აღმასრულებელმა კომიტეტმა პელიკან მეჩნიკოვს მდგომარეობა თითო პირისათვის მიჩნეულ კამერაში დატუსაღებით შეუცვალა,

**პეტროგრადის ამბების გამოხმაურება.**

**სევასტოპოლი.** 23 აპრილი. ფლოტი, ჯარი და მუშები სრულიად მშვიდათ შეხვდენ პეტროგრადში მომხდარ ამბებს. იყო კერძო შემთხვევაც: ზოგი ბოლშევიკი აგიტაციას ეწეოდა მთავრობის წინააღმდეგ. რადიო-ტელეგრაფით მიღებულმა მუშ. და ჯარ. კ. საბჭოს რეზოლუციამ ყველა დააშოშმინა. ჩამოვიდა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მთავრობის კომისარად ერთხმად არჩეული ნიკოკოვი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც 1905 წელს გადაასახლეს სევასტოპოლიდან. შესდგა მეზღვაურთა და ჯარის კაცთა საგლეხო კავშირი.

**განზრახული ცვლილებანი.**

**მინსკი** 23 აპრილი. გლეხთა კავშირმა დაადგინა: მოითხოვონ ახლავე მაზრის ყველა კომისართა დათხოვნა, სამაზრო კომიტეტებში გლეხთა წარმომადგენელნიც შეუშვან და დაავალონ მათ მაზრის ყველა მოსამსახურეების გადაყენება უმაღლეს პირთაგან დაწყებული მილიციონერებითა მწერლებითა, ქსენძებით და ღვდლებით დათავებული.

**თავისუფლების სესხი.**

**მორშანსკი** 23 აპრილი. თავისუფლების სესხზე 1,100,000 მანეთით მოაწერეს ხელი, კერძოდ დმიტრიევისა და ბელოუსოვისა სავაჭრო სახლმა 500,000.

**მუშათა და ჯარისკაცთა შემოწირულებანი.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იანგარიშა სხვადასხვა ქარხნების მუშათა, ჯარისკაცთა და კერძო პირთა მიერ შემოსული შემოწირულებანი ჯარის საჩუქრად პირველი მაისის დღესასწაულზე. საერთო ჯამი 1,060,000 მანეთს უდრის, მუშათა მეტი წილი დღიურ ქირას სწირავდა. 24 აპრილს თავრიდის სასახლეში მოხდა კრება მუშათა და ჯარისკაცის წარმომადგენლებისა, რომელთაც უნდა წაუღონ ჯარს საჩუქარი.

**საგუბერნიო კომისართა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ლეონტიევის თავმჯდომარეობით გაიხსნა ბრძოლის ასპარეზთან მდებარე გუბერნიების კომისართა ყრილობა. ყრილობა გაეცნო ადგილობრივ მართველობისა და თვითმართველობის რეფორმების მომხდენ თათბირის მუშაობას. მერე თავმჯდომარემ განუმარტა ყრილობას შიდა გუბერნიების კომისართა ყრილობის მუშაობის შედეგები.

ყრილობამ საგუბერნიო და სამაზრო კომისართა ზოგადი დადგენილებანი მოიწონა. შემდეგ კრებამ იმსჯელა ბრძოლის ასპარეზზე სამხედრო და სამოქალაქო უფროსთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე.

**საგანგებო თათბირი.**

სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილების მიყოლებით აღძრულ სარწმუნოებრივ კითხვების გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსდება საგანგებო თათბირი უცხო სარწმუნოებათა სასულიერო საქმეების დეპარტამენტში. დროებითი მთავრობის კომისარი კოტლიარევსკი თავმჯდომარეობას გასწევს.

**გენერალ ბრუსილოვის დეპეშა.**

გენერალმა ბრუსილოვმა როძიანკოს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: სათათბიროს წევრებმა თ-დმა მანსირევმა და დეკანოზმა ფადონენკომ დაათვალიერეს ჯარი და ფლოტი.

ამ მუშაობაში მათ უჩვეულო ენერგია გამოიჩინეს. მათ თავგამოდებულმა მუშაობამ ჯარის-კაცთა და ოფიცერთა შესაერთებლად და ამაღელვებელ კითხვების განსამარტავად რომელსაც ისინი ასრულებდენ დაღლილობისა, შიმშილისა, ცუდი გზისა და სროლის მიუხედავად, მეტად დიდი სარგებლობა მოიტანა ჯარის სულის გასაძლიერებლად.

**წითელი ჯვრის დაწესებულებათა დელეგატების ყრილობა.**

**მინსკი.** 24 აპრილი. გაიხსნა წითელი ჯვრის დასავლეთ ასპარეზის დაწესებულების დელეგატთა ყრილობა. მოვიდა 295 დელეგატი. დღის წესრიგში საორგანიზაციო საკითხებია წამოყენებული: არჩევნითი წესის შემოღებისა, მთავარი წითელი ჯვრის განახლებისა და სხვათა შესახებ.

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა სამრეწველო დაწესებულებათა მუშების კომიტეტების წესდება. მუშათა კომიტეტები არსდება კერძო და სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებებში, როგორც მთავარს, ისე ცალკე სახელოსნოებშიც. კომიტეტებს შეუძლია ერთ მთავარ კომიტეტად შეერთდეს. წევრებს ირჩევენ ყველანი ერთხმად არჩევანის საფუძველზე ქალთა და სრულწლოვანთა გამოუკლებლივ. კომიტეტების წევრთა დათხოვა შეუძლია დაწესებულების ადმინისტრაციას მხოლოდ შემარიგებელ დაწესებულებათა დადგენილებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვა სამედიატორო სასამართლოში გაირჩევა. კომიტეტის გასარჩევი საქმეებია:

1) მუშათა წარმომადგენლობა დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად ურთიერთ შორის დამოკიდებულება მრეწველთა და მუშათა შორის.

2) მუშათა ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხის გადაჭრა.

3) მუშათა წარმომადგენლობა მთავრობისა თუ საზოგადო დაწესებულებებთან დამოკიდებულებაში.

4) საკულტურო საგანმანათებლო მუშაობისათვის ზომების მიღება და ისეთ ღონისძიებათა გამონახვა, რომელნიც მუშათა ყოფა-ცხოვრებას გააუმჯობესებს.

კომიტეტს უფლება აქვს მოიწვიოს კრებები მუშათა და დაწესებულებების ადმინისტრაციისა. კრება უნდა მოაწყონ მათსავე დაწესებულებების შენობაში. კრებაზე არა ამ დაწესებულების მუშათა წრის პირთაც შეუძლიათ დასწრება. კრებები არა სამუშაო დროს ხდება.

# პასუხი ორ ამხანაგს.

თქვენმა წერილმა, ამხანაგებო, სიხარულით აღავსო ჩემი გული, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ მისი დაბეჭდვისა.

რა საჭიროა?

ჩემის ღრმა რწმენით ყოველი ჩვენი მუშა უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რადგანაც ეს პარტია უფრო გამოჰხატავს მუშის სულისკვეთებას, უფრო შეესაბამება მუშის მისწრაფებას.

პარტიას ერთი მეტად დიდი შეცდომა მოუვიდა: ეროვნულ საკითხს არ მიაქცია დროზედ ჯეროვანი ყურადღება და იმ დროს, როცა ეს საკითხი პარტიას გადაჭრილი უნდა ჰქონოდა, პარტია მოუმზადებელი დარჩა.

ისეთმა ნიჭიერმა მკვლევარმა, როგორიც ნოე ჟორდანიაა, თვისი შეხედულება ეროვნულ საკითხზე რამდენჯერმე გამოიცვალა, ბოლოს დაუახლოვდა ჭეშმარიტებას და შედგა,—გაბედული სიტყვა ვეღარ დაამთავრა.

პარტიამ მოუფიქრებლად, აჩქარებულად, აითვალწუნა საქართველოს შინაური თვითმართველობა ანუ ტერიტორიალური ავტონომია და ამით ერთად ერთი მტკიცე ნიადაგი ამ საკითხის გადასაწყვეტად დაჰკარგა.

ადრე თუ გვიან პარტია ისევ ამ ნიადაგზე დადგება და მიიღებს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას. შეიძლება ამ ავტონომიას სხვა სახელი ეწოდოს, მაგრამ ეს სულ ერთია: სახელის გამოცვლა ხომ შინაარს ვერ გამოცვლის.

პარტიის პროპაგანდისტებმა თვისი უვიცობით ტერიტორიალურ ავტონომიას სახელი გაუტეხეს, ის ისე შეაგნებიეს ხალხს, როგორც ბატონ-ყმობა, თვით-მპყრობელობა ქართველი მეფისა და სხვა.

ჩემი მიზანი იყო და არის, ქართველ დემოკრატიას ავუხსნა, შევაგნებიო, რომ ავტონომია უწინარეს ყოვლისა მისთვის არის ხელსაყრელი და გამოსადეგი.

ამ აზრის ქადაგებისათვის მე ბევრი სიმწარე ვიგემე, ბევრი მაწყენინეს, მეც ალბათ ბევრს ვაწყენინე, მაგრამ რა ჩასათვლელია ყოველივე ეს, როცა საქმე მთელი ქართველი დემოკრატიის მომავალს შეეხება.

მე დარწმუნებული ვარ, შეურყევლათა მრწამს რომ პარტიაში გრძნობას გონიერება დასძლევს და ის მიიღებს თავის პროგრამაში ამა თუ იმ შესწორებით საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას. ეს იქნება ერთი უდიდესი გამარჯვება პარტიისა.

თქვენ რა უნდა გააკეთოთ. ამხანაგებო?

დღეს ისეთი დროა, რომ გაჩუმება აღარ შეიძლება, მუშათა ბედის გამჭედი ისევ მუშები ხართ.

ჩემისთანა ინტელიგენტს შეუძლია, დაგეხმაროთ მხოლოდ რჩევით, ცოდნით, დანარჩენი თქვენი საქმეა.

თქვენ უნდა აუხსნათ ამხანაგებს, თუ რა არის ტერიტორიალური ავტონომია, უნდა დაუმტკიცოთ მათ, რო დემოკრატიულად მოწყობილი ავტონომია მშრომელი ხალხის სასარგებლოთ სწყვეტავს ეროვნულ საკითხს, უნდა დაარწმუნოთ ისინი, რომ ტერიტორიალური ავტონომია მუშათა კლასისათვის არავითარ საფრთხესა და ხიფათს არ წარმოადგენს და ამით დაუფასებელ სამსახურს გაუწევთ მთელ კლასსა და პარტიას.

ცხადია, თუ ჩვენი მუშათა კლასი მიიღებს ტერიტორიალურ ავტონომიას, პარტიაც მიიღებს, როდესაც პარტია რყევაშია, მუშათა კლასმა უნდა აამაღლოს თავისი ხმა რადგანაც პარტია არსებობს მუშებისთვის და არა მუშები პარტიისთვის.

რაკი პარტია საქართველოს ტერიტორიალურ თვითმართველობას მიიღებს და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, თავის თავად ცხადია, რომ ჩვენებური პარტია მიიღებს სახელწოდებას საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისას.

მანამდე კი დეე, ჩვენ გვაფურთხონ, ჩვენ კი ნურავის ნუ შევაფურთხებთ,

სიმართლე გაიმარჯვებს და მისი შუქი ყველას თვალებს აუხელს.

დარწმუნებული იყავით, ამხანაგებო, პარტიაში ძალიან ბევრია ისეთი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მხარს უჭერენ, მაგრამ პარტიული დისციპლინის დარღვევა არ უნდათ და სდუმან.

რასაკვირველია, აქვს ამას თვისი გასამართლებელი საბუთიც: მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როცა მთელი დემოკრატიის ინტერესი ითხოვს პარტიული დისციპლინის დარღვევას.

პეტროგრადის ჯარმა არა თუ დისციპლინა დაარღვია, ფიცი გასტეხა და ამ გზით მიანიჭა ყველას თავისუფლება.

ეროვნული საკითხიც ჩვენში ყოველგვარ დისციპლინაზე მაღლა სდგას. ყველა პარტიები თვისი დისციპლინით ქართველი დემოკრატიის კეთილდღეობას უნდა ენაცვალონ.

**ივ. გომართელი.**

# ო მ ი.

ფელდმარშალი ჰინდენბურგი ბრძოლის მთავარ ყურადღებას ყოველთვის რუსეთის ასპარეზს აპყრობდა. სარდალის ეს „ყურადღება საფუძლიანი იყო რადგან უორგანიზაციობა და უსისტემობა, რომელიც თანამედროვე ხანაში ომის წამგებია რუსის ჯარში მეტად ძლიერი იყო. თვით მპყრობელური რუსეთი მშიერ ჯარის კაცს ეუბნებოდა „სამშობლო დაიცავიო." განმანადგურებელ ტყვიის მფრქვეველების წინ რუსის მხედრობა უტყვია—წმლოდ იწირებოდა. ჰინდენბურგმა 1916 წ. სხვათა შორის სთქვა: ომი რუსეთის ასპარეზზე დასრულდებაო. დღეს, როდესაც ბევრს ლაპარაკობენ ომის მიწურულზე, მის გათავებაზე გერმანეთის სარდლობა რუსეთის ასპარეზზე დიდძალ ლაშქარს აგროვებს. ამავე დროს ერთი წლის განმავლობაში კავკასიის ხაზზე პასივობაში მყოფ და თითქმის ყოველ დღე რიგ რიგ დამარცხების გამცდელი ოსმალთა ჯარი, ბერლინთან შეთანხმებით ფართე აქტივობას მიეცა. კავკასიის ასპარეზზე ბრძოლა გაჩაღდა. ოგნოტი და მუში აუღიათ და აზრუმის წინააღმდეგ ოპერაციას აწარმოებენ. ამ რიგად წელს მსოფლიო ომის სიმძიმე რუსეთის ბრძოლის ასპარეზებზეა. რუსეთის ასპარეზებზე თითქმის ყველგან ბრძოლაა.

ოსმალის ჯარის უახლოესი მიზანია, რაც შეიძლება მალე, დაიბრუნოს დაკარგული მიწა-წყალი, რომ მოსალოდნელ სამშვიდობო კონგრესზე მტრის ხელში არ დასტოვოს იგი.

ოსმალთ ამ ჟამად კავკასიის ასპარეზზე ევროპიდან მოსვლიათ ადრიანოპოლის და ფრაკიის კორპუსები, რომლებიც—რუმინეთის ფრონტზე იბრძოდენ.

წრევანდელი საზაფხულო კომპანია სავსებით რუსეთის ასპარეზზე იწყება. დასავლეთის ბრძოლის პირით ინგლის ფრანგებმა შეზნექილი ხაზი გამოასწორეს და ჯერ ჯერობით ამით ჰკმაყოფილდებიან. იტალეთის ასპარეზზე ყურადღების ღირსი არაფერი ხდება.

ბალკანეთზე წვრილმანი ბრძოლებია. ბულგარელები ამას წინად დაკარგულ მონასტირის დასაბრუნებლად ემზადებოდენ. საერთოდ ბრძოლის ველის მდგომარეობა გარდა რუსეთისა უმოქმედო... რუსეთის ასპარეზზე მოელიან დიდ ამბებს.

**ჯიბ.**

**საპროტესტო დეპეშები.**

გაგზავნილი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტის მიერ.

**მინისტერთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დ ლვოვს.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი თავისს ენერგიულ პროტესტს უცხადებს პროფ. ბენეშევიჩს რომელიც ცდილობს საქართველოს ეკლესიას თავზე მოახვიოს პრინციპი არაკანონიური უტერიტერიო ავტოკეფალობისა და შეუდრეკელად მოითხოვს ბოლო მოეღოს ქართული ეკლესიის ტყვეობას და აღიაროს მისი კანონიური ტერიტორიული ავტოკეფალობა.

ასეთივე შინაარსის დეპეში გაეგზავნა სინოდის-ობერ პროკურორს ლვოვს, კომისარს ბენეშევიჩს, გაზ. „პეტროგრ. ვედ."ისა, „რუსკაია ვოლიას," თბილისის ყველა ქართულ გაზეთების რედაქციებს და აგრეთვე გაზ. „ვოზროჟდენიეს".

**ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი თავის ენერგიულ პროტესტს უცხადებს პროფ. ბენეშევიჩს, რომელიც ცდილობს საქართველოს ეკლესიას თავზე მოახვიოს პრინციპი არა-კანონიური უტერიტორიო ავტოკეფალობისა, და ღრმადა სწამს, რომ თქვენ ყოვლად სამღვდელო, სამართლიანობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ენერგიულ ზომებს მიმართავთ ივერიის ეკლესიის კანონიური ტერიტორიული ავტოკეფალობის პრინციპის დასაცავად. ამ დეპეშის ასლები თბილისის გაზეთებს გაეგზავნა.

# უცხოეთი.

პ. დ. ს.

**ზაიმისი და ბერძნები.**

**ათინა,** 21 აპრილი. ბეჭვდითი სიტყვა ერთხმად მიესალმა ზაიმისის ნების ყოფასა, ენერგიასა და პატრიოტიზმს. აგრეთვე იმედი აქვთ, რომ ზაიმისი შესძლებს მოკავშირე სახელმწიფოებთან აღადგინოს მეგობრული დამოკიდებულება, რაც საბერძნეთს მცხოვრებთათვის აგრე სასურველიაო. ბეჭვდითი სიტყვა დარწმუნებულია, რომ ამ მიზნის მიღწევაში მინისტრ-პრეზიდენტს მთელი ერი დაეხმარებაო.

**თავისუფლების სესხი.**

**ვაშინგტონი,** 23 აპრილი. გამოირკვა ერის დიდებითი დამოკიდებულება თავისუფლების სესხისადმი. ოქროთი უმრავლად აწერენ ხელს. შესაძლოა ტელეგრაფიულ ხელის მომწერთ დაიჭირონ. ხელის მომწერთა რიცხვი დღითი დღე იზრდება ერთ საათში 20 მილიონ დოლარზე აღწევს. იმის იმედიც აქვთ რომ ხელის მოწერა საჭიროებას გაკილებით გადააცილებსო.

**ზაიმისი და ბეჭვდითი სიტყვა.**

**ათინა.** 21 აპრილი. ზაიმისის მეთაურობით კაბინეტის შედგენამ ხალხი დაიმედიანა. ფიქრობენ, რომ საბერძნეთი თავაზიან ნეიტრალიტეტს დაიცავს ისევე, როგორც ეს მოკავშირეებს ესმით. გაზეთების მეტი ნაწილი ზაიმისის მიზნებს მეტად დელიკატურად სთვლის, რადგან მან უნდა მოიპოვოს გულწრფელი დახმარება ყველა იმ ელემენტებისა, რომელთაც რაიმე გავლენა აქვთ საზოგადოებრივ აზრზე; რადგან საზოგადოებრივს აზრს ზოგიერთმა ცრუ პატრიოტმა ცუდი ხელმძღვანელობა გაუწია.

# ახალი ამბავი

**საპასპორტო კანონი.** მოსკოვის საგრადონაჩალნიკოს კომისარს შინაგან სამინისტროსგან საპასპორტო საქმის შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდა. ძველ მთავრობისაგან მიცემული პასპორტები და საბინადრო საბუთები ძალაში რჩება და მათი შეცვლა საჭირო არ არის. იმ პირთ რომელთაც პასპორტი არა აქვთ, ასეთის მისაღებათ უნდა მიმართონ ადგილობრივ პოლიციას ან კომისარიატს.

✦ ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოების კავშირის განყოფილება თბილი-

სის ქუჩიდან გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე თევდორაძის სახლში.

✦ ალექსანდრე ვლასის ძე ლორთქიფანიძემ შემოსწირა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 25 მან.

✦ ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა ფაღავასამ გამოუწერა გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ მთელის წლით მანძის სამკითხველოს.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო თედო ღლონტის ნაწერები „ავტონომია და ფედერაცია“ კვიტანციები. წიგნი წინდაწინ ხელისმოწერით ღირება 2 მ. 50 კაპ. გამოცემის შემდეგ 3 მან.

✦ „არშინ მალ-ალანი“. პარასკევს და შაბათს ქუთაისის ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება გადმოქართულებული სპარსული ოპერეტა „არშინ მალ ალანი“.

✦ სასურსათო საქმე. დღეს 12 საათზე დანიშნულია ქუთაისის მეპურეთა თათბირი. თათბირის მიზანია საყოფ ფქვილის შეძენის საქმის მოწესრიგება და მუშათა მოთხოვნილების განხილვა. თათბირი მოხდება თბილისის ქუჩაზედ მიქელაძის სახლში.

✦ ქალაქის აღწერა. გუშინ დაიწყო ქალაქის მცხოვრებთა აღწერა.

✦ საშინელი. დიდი ჯიხაიშიდან საჯილაოში მომავალ ვაჭარს ქურციკიძეს ბოროტ გამზრახველები დახვდენ და წაართვეს 200 მანეთი.

✦ **უვარგისი აბრეშუმის თესლი.** სოფლებიდან ცნობა მოგვდის, რომ წელს ბევრი უვარგისი აბრეშუმის თესლი გაყიდულა ქუთაისის გუბერნიაში.

✦ **მადლობის გამოცხადება.** ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი მადლობას უცხადებს ძმ. იაკობაშვილებს, რომელთაც აღმასრულებელ კომიტეტს 500 მანეთი შესწირეს.

ჟურნალ-გაზეთები: ამჟამად ქუთაისში გამოდის სამი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ „სოციალ დემოკრატი“ და „ჩვენი მეგობარი“ ერთი რუსული „პრავდივოე სლოვო“ ყოველკვირეული „შრომა“ „ხმა ქართველი ქალისა“ „გოლოს სალდატა“ და ჟურნალი „თავისუფლება“.

დ. ძირულაში კვირას 30 აპრილს დ. ხაშურის სცენის მოყვარეთა მიერ ნიკო სიხარულიძის რეჟისორობით დაჭრილების სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება პიესა „დამარცხებულნი“ ირეთელისა „ბაიყუში“ ცაგარლისა და სხვა.

დ. ძირულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობის წლიური კრება ჯერ კიდევ არ დაუნიშნავს, რაც წესდების ძალით მარტის შუა რიცხვებამდის მაინც უნდა მომხდარიყო.

დ. ძირულის აღმასრულებელმა კომიტეტმა ადგილობრივ ქარხანაში 18 აპრილს (1 მაისს) მუშაობისთვის სამი დღით ყვირილის სატუსაღოში დააპატიმრა ქარხნის გამგის მოადგილე, პეტრე კაპიტკოვი.

## თბილისი.

— ახალი გაზეთი მაისის 1, პავლე საყვარელიძის რედაქტორობით, გამოვა თბილისში საპოლიტიკო და სალიტერატურო სოც-დემოკრატიული გაზეთი „ალიონი“.

— სოც. რევ. პარტია ჯარის კაცების შესახებ. სოც-რევოლიუციონერთა პარტიის კონფერენციამ 23 აპრილს, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია თბილისის გარნიზონის ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილების გამო შესახებ იმისა, რომ ჯარის კაცებს ნება არ აქვსთ ცალკე ჯგუფებად შეკავშირდნენო. ეს დადგენილება კონფერენციამ უკანონოდ სცნა· ამის გამო კონფერენციამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს თავის პარტიის კომიტეტს, მოხსენება წარუდგინოს ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ გაუქმებულ იქნას ზემოაღნიშნული დადგენილება, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთადერთია მთელს რუსეთში ჯარისკაცთა ცალ-ცალკე კავშირების შედგენის შესახებ, ვინაიდგან ეს დადგენილება ზღუდავს ჯარისკაცთა თავისუფლებას, როგორც თავისუფალ მოქალაქეებისას და გარდა ამისა თავისუფალი კავშირები ჯარისკაცთა საჭიროა რევოლიუციონურ მოძრაობის გასაღრმავებლად, კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და ჯარის კაცთა მოსამზადებლად დამფუძნებელ კრებისათვის.

— ქართველთა სამხედრო კავშირს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ქართველთა ცხენოსანი პოლკი გამსჭვალულია თავის სამსახურის მოვალეობით და ჰსურს რომ ომის ძლევამოსილად დამთავრება, როდესაც შინ დაბრუნდება ყოველის ღონით დაეხმარება ყველასათვის საყვარელ სამშობლო საქართველოს ავტონომიის მოპოებაში. მთელი პოლკის შემადგენლობა მადლობას უძღვნის ქართველ მხედართა კავშირს მიგონებისთვის გიძღვნით გულმხურვალე სალამს. პოლკოვნიკი ჭავჭავაძე,

— ამავე კავშირს მოუვიდა შემდეგი წერილი. 1917 წელს 22 მარტსა, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი სამხედრო პირნი განჯის გარნიზონისა ამით ვაცხადებთ სურვილს შევუერთდეთ ქართველთა სამხედრო კავშირს, რათა ერთად ხელჩაკიდებულნი, შეერთებული ძალებით შევეშველოთ და ხელი შევუწყოთ რუსეთის რევოლუციის განმტკიცებას და საქართველოს ავტონომიის დაფუძნება-განმტკიცებას ხელს აწერს ხუთას ოცი კაცი.

— მუშათა საბჭო სიღნაშიც დაარსებულა. საბჭოში 15 სოციალ-დემოკრატია, 3 სოც-ფედერალისტი, 2 დაშნაკცაკანი, 1 ქართველი ეროვნ. დემოკრატი და 1 ჰინჩაკისტი.

— ქართველ კათოლიკეთა კრება. ხუთშაბათს, 27 აპრილს ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის სკოლის შენობაში მოხდება დელეგატების კრება.

— აჭარელთა ყრილობა. ქვემო აჭარელთა მრავალ რიცხოვან ყრილობაზე დაადგინეს სრული ნდობა გამოუცხადონ დროებით მთავრობას· და დეპეშით სთხოვონ პრემიერს ლვოვს, რომ სასჯელი ეპატიოს იმ პოლიტიკურ დამნავე აჭარელთ, რომელთაც ძველი მთავრობის მიერ სახელმწიფოს ღალატიბრალდებოდ ათ.

### დღიური გაზეთების ასოთ ამწყობთა მოთხოვნილება.

26 აპრილს ქუთაისის დღიური გაზეთების ასოთ-ამწყობებმა წარუდგინეს რედაქციებს მოთხოვნილება, რომელშიდაც აღნიშნულია გაზეთების ასაწყობი თვიური ფასები; დღემდის კი გაზეთები ნომრობით ქონდათ აღებული.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კავკასიის ასპარეზზე.

როგორც ოფიციალური ცნობაა ოსმალნი კავკასიის ბრძოლის პირზე ფართე შემოტევას აწარმოებენ. სააგენტოს დეპეშების გადმოცემით ოსმალთა მთავარი ყურადღება არზრუმის გზის დასაკავებლად არის მიმართული.

ვილჰელმის განცხადება

კაიზერ ვილჰელმს უთქვამს: ომი გათავების პირზეა, აღმოსავლეთის ასპარეზზე დაკვრამ მისი ბედი უნდა გასწყვიტოსო.

ინტერნაციონალის მდივანმა გიუისმანმა სთქვა: —ომი უნდა დამთავრდეს უანექსიოდო. მშვიდობიანობის განმტკიცება რუსეთის ხალხზეა დამოკიდებულიო. თუ რუსეთი ხმა მაღლა იტყვის, რომ მას სტამბოლის --სრუტეები არ უნდა, მაშინ გერმანეთის რეაქციონური მთავრობაც იძულებული იქნება ანექსიაზე ხელი აიღოს.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ასაკის ცენზი იყოს 20 წ. კანონების შედგენა დასრულდება ივნისის პირველს. არჩევნები ზაფხულში იქნება და ოთხი თვეს გასტანს. დამფუძნებელი კრება ოქტომბერზე ადრე არ იქნება მოწვეული. არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება მიეცემათ, რომანოვთა გვარეულობის იმ წევრებსაც, რომლებიც ეხლა თავისუფალნი არიან.

მოსკოვიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ლენინი ამ ჟამად ივანოვ ვოზნესენსკში იმყოფება და ენერგიულად ეწევა აგიტაციას.

### მაჰმადიანი ქალები.

ტომსკი. აპრილის 23. მაჰმადიანთა ბიურომ მოწოდებით მიჰმართა მაჰმადიან ქალებს, რათა მათ თავი დააღწიონ კარჩაკეტილ ცხოვრებას და სამოქმედო ასპარეზზე სამუშაოდ გამოვიდნენ. საჭიროებათა გამო მათ უნდა დაიარსონ პროფესიონალი კავშირები, საზოგადოებანი, ჯგუფები, ქალთა ლიგები; აგრეთვე იარონ მეჩეთებში, მონაწილეობა მიიღონ ყრილობაში და სხ. მოწოდების სიტყვით, ყველა ეს უფლებანი მათ ახალი მთავრობის მიერ მიენიჭათ.

## რუსეთი.

თეთრ ბილეთებიანების ხელ ახალი შემოწმება.

იმ დადგენილების შესახებ, რომელიც ამ დღეებში გამოუშვა ახალმა მთავრობამ თეთრ ბილეთებიანების შესახებ, გვატყობინებენ, რომ თეთრ ბილეთიანთა ხელმეორე შემოწმებას შეუდგებიან არა უადრეს შემოდგომისა. ეს იმისთვის, რომ მიეცეს მათ საშუალება სოფლელთ ჭირნახულის მოწევისა. ამ დრომდი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნაწილობრივი შემოწმება თეთრ ბილეთიანებისა.

ახალი სენატორები,

ნაფიცი ვექილები ნ. ნ. ანდრონიკოვი და ო. ო. გრუზენბერგი დანიშნული არიან სენატორებათ.

პლეხანოვის კანდიდატობა.

შრომის ჯგუფმა მორიგ კრებაზე კითხვა აღძრა იმის შესახებ, რომ შევსებულ იქნას შემადგენლობა ახალი მთავრობისა სოციალისტური პარტიების წარმომადგენელებით. პირველ რიგში ჩარიცხულია პლეხანოვი.

დაბრუნდა გამოჩენილი სოციალისტ-რევოლიუციონერი ფროლოვი, რომელსაც მისჯილი ქონდა ოცი წლის კატორღა 1905 წლის გუბერნატორ ბლოკის მკვლელობისათვის

მთელი დღის განმავლობაში ნევის პროსპექტზე პეტროგრადში დადიოდა მთელი ჯარი ოფიცერთა, ჯარისკაცთა და სტუდენტთა, რომელიც მოუწოდებდა ხალხს მხარი მიეცათ ახალ მთავრობისათვის და მიუთითებდა იმაზე თუ როგორი ზიანი შეუძლია მოიტანოს თავისუფლებისათვის შინაურ კინკლაობას.

ექიმები, რომლებიც მინისტრ გუჩკოვს უვლიდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გუჩკოვის ავადმყოფობის გახანგრძლივება გამოწვეულა გულის ავადმყოფობით. მათ გადასწყვიტეს, მინისტრისათვის საჭიროა მოსვენება და ამიტომ მოუხდება რამდენიმე დღით ლოგინში ყოფნაო.

მდინარე დონი საშინლად ადიდდა. რკინის გზის ლიანდაგი დაზიანებულია 40 ვერსის მანძილზე. წყალი ნაპირებიდან გადმოვიდა და მცხოვრებთ ბევრ საფრთხეს უმზადებს.

ფინეთის სეიმში შეტანილია პროექტი სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსამ ოდესაში დაადგინა დანგრეულ იქნას ძეგლი ეკატერინე 2 სი.

ლენინი.

გენერალმა კორნილოვმა მთავრობას წინადადება მისცა, ვოლინის პოლკმა დაიკავოს კშეშინის ქალის სასახლე, სადაც ლენინი სცხოვრობს. როგორც ხმა დადის ლენინი მიმალულა.

კერენსკის ავადმყოფობა.

სამართლის მინისტრი კერენსკი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა.

ლენინის მომხრენი დროებით მთავრობას ატევებენ.

მანიფესტაციის დროს მანიფესტანტები ლენინს სთხოვდენ, რომ წაყოლოდა მას მარინეს სასახლეში დროებითი მთავრობის შესაპყრობლად.

ცეპელინი პეტროგრადზე.

მუშათა საბჭო გენ. კორნილოვს აუწყებს, რომ მათ შენიშნეს პეტროგრადზე მფრინავი მტრის ცეპელინი. გენერალმა კორნილოვმა ზომები მიიღო.

დროებით მთავრობის დადგენილებით სამსახურიდან დათხოვნილნი არიან: სახელმწიფო საბჭოს წევრი, თხოვნების მიმღებ კანცელიარიის მთავარი გამგე ვასილი ილიასძე **მამონტოვი.** უმაღლეს მთავარსარდალის სამხედრო საჰაერო ფლოტის საველე ღენერალ-ინსპექტორი, ადმირალი, დიდი მთავარი **ალექსანდრე მიხეილისძე.** არტილერიის საველე ღენერალ-ინსპექტორი, დიდი მთავარი **სერგი მიხეილისძე.** სახელმწიფო საბჭოს წევრი, სასწავლებელ „პრავოველენიეს“ მზრუნველი, სასანიტარო-საევაკუაციო განყოფილების უმაღლესი გამგე, ინფანტერის ღენერალი პრინცი **ალექსანდრე პეტრესძე ოლდენბურგსკი.** დასავლეთ ფრონტის ჯარის მთავარსარდალი ინფანტერიის ღენერალი **ევერტი.** მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არტილერიის ღენერალი **მოროზოვსკი** (პენსიით). დასავლეთის ფრონტის ჯარისთვის სურსათის მიმწოდებელ კომისიის. უფროსი მმართველი, სამხედრო საბჭოს წევრი, სამხედრო ინჟინერი, ღენერალი თავ. **შუმანოვი.** იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციის წევრი **ხარლამოვი.** სამხედრო საბჭოს წევრი, ინფანტერიის ღენერალი **სანდეცკი** (მუნდირითა და პენსიით)... დათხოვნილნი არიან აგრეთვე სენატორები: **ილინი, ზოლოტარიოვი, ანდრევსკი, ზაიონჩკოვსკი, ემანუილ ვუიჩი და ბელეცკი...**

ამავე მთავრობის დადგენილებით, პეტროგრადის საგუბერნიო ციხის ინსპექტორად დაინიშნა ნაფიცი ვექილი კონსტანტინე მიხეილის ძე **ანტიპოვი.**

## აკაკის ლექსი.

წერილი პატარა მეგობრებს.

დათუნია კაკუჩა,
მაიავ და ელენე!
მე თქვენი სახე ხატათ
ჩემს გულში ჩავისვენე.

— —

მე რომ თქვენ მშობლებს ვიცნობ,
ვით ქართველსა ქართველი,
იმიტომაც მე თქვენგან
ბევრ კეთილს გამოველი.

— —

ღმერთმა ნუ დაგამზგავსოთ
დღევანდელ ჩვენ თაობას,
ეროვნულ სამოსელში
რომ ახვევენ „ავობას“.

— —

და ქვეშ-ქვეშა მტრებისგან
იმოდენათ ძლეულან,
რომ უსულ-გულოდ მხოლოდ,
ენად გადაქცეულან.

— —

თქვენ სულ სხვა დრო მოგელისთ,
სხვა გვარი გზა და კვალი
და, თუ სწორა გაივლით,
იხარებს მომავალი!

— —

საჭიროა ამისთვის
მხოლოდ კეთილი გული,
საეროვნო ჰანგებით
გავსილი, გამსჭვალული!

— —

სტყუის დედი ნაცვალი!
დედის ძუძუ ტკბილია!!
ვისაც დედა არ უყვარს,
აბა ის რა შვილია?

— —

სამშობლოც ხომ დედაა,
ჩვენი ტკბილი აღმზრდელი,
და რად უნდა ავიღოთ,
მაშ, ჩვენ იმაზე ხელი?

— —

მისი ჭირიც და ლხინიც
უნდა გავიზიაროთ
და, როგორც ერთად ერთი,
ღვთაებად აღვიაროთ!

— —

ამას უნდა შევსწიროთ
ჩვენი გრძნობა... გონება,
რომ თავიდგან აგვცილდეს,
პირუტყვული მონება.

— —

მაშ გიყვარდესთ სამშობლო!
სხვისიც ნუ შეგძულდებათ?
იყავით მოთმინებით,
ნატვრა აგისრულდებათ.

— —

წინაპრებსაც სამშობლო
ჰყვარებიათ გმირულად
და სისხლი უქცევიათ
მისთვის კოკისპირულად.

— —

ჭირში გულგატეხილად
შეწირულან ზვარაკად
და საქმენი „საგმირო“
დაუგდიათ არაკად.

— —

აი, იმათ მიბაძეთ
ქვეყნის ერთგულებაში
და სიამეს იპოვით
ქართლის გაახლებაში.

— —

ნუ გადასცვლით უცხოზე
ქართულ დედა-ენასა,
თორემ საცვალ ზედმეტათ
მომკით ცრემლთა დენასა.

— —

ენაში არის ძალაც
საიდუმლო გონების!
ვინც დაჰკარგავს, გახდება
წერა სხვისი მონების.

— —

და ვინც შეინარჩუნებს,
არ უმტყუნებს თავის ერს,
ყოველის მხრით მოისმენს
ხმატკბილ „მრავალ ჟამიერს“.

— —

ვიცი, ვერ მოვესწრები
ამ ერთად ერთ ნატვრასა,
მაგრამ მაინც საფლავში
არ ჩავიტან ოხვრასა.

— —

რადგანაც ვრწამ, რომ ნატვრა
როდესმე აისრულდება,
და რუსთველის მშობელ ერს
ენა არ შესძულდება.

— —

თავ-გასულ ძალადობას
უნდა მოელოს ბოლო,
და ხელ-ახლად აჰყვავდეს,
გაცვრცვნილი საქართველო.

— —

მაშინ, ახალგაზდებო,
ნახეთ ჩემი საფლავი!
(მეც იქ თქვენთან გავჩნდები
თანამგრძნობი უხილავი)

— —

სიცილით ჩამომძახეთ:
„აგისრულდა ახლა კი,
რასაც რომ მოელოდი,
მეგობარო!“ აკაკი.

რომ ეს ლექსი ნამდვილ დედნიდგან გადმოწერილი არის, ამას ვამოწმებ განსვენებული მგოსნის აკაკის ნების აღმასრულებელი,

კოტე აბდუშელიშვილი.

## წერილები ჯარიდან.

II

„ვინა სთქვა საქართველოზე, ეს არის სული ხდებაო.“

ვერ დამაჯერებთ!

არა, იგი სულს იბრუნებს და დღეს თუ ხვალ მას ძალა უფლება მიეცემა თავისუფალი არსებობისა.

ამირანის კვნესა, რომელიც რკინის ხუნდებით იყო მიბმული, სამხიარულო ამოძახილად გარდაიქმნა და ჩვენ საბრძოლველად მოგვიწოდებს.

რაღა გვაყოვნებს!..

ნუ თუ ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მისმა ტანჯვა-წამებამ ვერ გვამცნო თავი?

ნუ თუ მისი კვნესა ჩვენი ერის კვნესა არ იყო?!.

ნუ თუ იმ ხუნდებმა, რომლითაც იგი იყო და არის მიბმული, ჩვენც არ დაგვაჩინა თავისი დაღი?

თუ ყოველ წლობით და ყოველ თვეობით იჭედებოდა მისთვის მძიმე ბორკილები, დღეს მჭედლებს სული ამოხდათ. ძველი ხუნდები კი დაიჟანგა. ღონე მიხდილს, დაჟანცულ ამირანს მხოლოდ თანაგრძნობა სჭირია, გამოძახილი თავისი ერისა, რომ ძალ-ღონე მოიკრიბოს და სამარცხვინო ბორკილები ერთბაშად დასწყვიტოს.

თავისუფლების მქადაგებელნო!

მიანიჭეთ გმირს თავისუფლება...

ნუ უშლით ხალხს, ნუ ელობებით მას თავისი გრძნობების წინააღმდეგ.

ჩვენი ხალხის სურვილი თავისი გმირის განთავისუფლებაა.

ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ჩვენს ერს, ერს ტანჯულს, თავისი ტურფა საქართველოს ტკივილები თავის ტკივილებათ არ ჰქონდეს მიჩნეული მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ მათ წამლის ნაცვლათ საწამლავს ვაწვდით.

ამის მაგალითები ყველამ ნახა.

ჯარამდისაც მოაღწია ჩვენი ახალგაზდა მგოსნის სულიდან აღმოხეთქილმა სიტყვებმა: —

—„მე დიდი ხანია გაგიჟებით მიყვარდა ჩემი სამშობლო. სულ მის საკეთილდღეოთ ვფიქრობდი, და ჩემს საოცნებო საგანს მუდამ ჟამს იგი შეადგენდა, მხოლოდ ამის გამოქვეყნება დღემდის ვერ გამიბედია.

მკითხველებო! ჩაუკვირდით კარგად ამ სიტყვებს ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული მგოსნისას, რომელიც თავისუფალ ხელოვნებას ემსახურებოდა და ემსახურება კიდეც.

თვით მგოსნებიც კი პარტიულ ჩარჩოებში მოქცეულან და უცენზუროთ ვერ ლაპარაკობენ.

რა ჰქნას ამის შემდეგ საწყალმა მშრომელმა გლეხმა, რომელიც განათლებულთა და ნასწავლთა სიტყვას შეჰყურებს.

ჩაუკვირდით სხვის დამოუკიდებლად ცხოვრებას და საქვეყნოთ გამოაცხადეთ თქვენი სურვილი, თქვენი გულის ნადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. ამის უფლება თქვენ გაქვთ და ამას თქვენ ვერავინ ვერ აგიკრძალავთ. და ვინც წინ გადაგეღობოსთ, მათ შესაფერი მსჯავრი დასდევით.

თუ გინდათ თქვენ ტანჯვას ბოლო მოეღოს, მოითხოვეთ თქვენი დედულ-მამულის, საქართველოს თავისუფლება.

ამას მოითხოვს თვითეული ქართველის წმინდა მოვალეობა.

თავისუფალი საქართველო ყველას შვებას მიანიჭებს და მრავალ-წლობით დასერილ გულს გაუკურნებს.

ნუღარ ვაყოვნებთ.

გმირ ამირანს ტყვეობა არ შეშვენის!..

ჯარ.-კაცი **ნ. ქ. ასათიანი.**

## რა უნდა აკეთონ ამ ზაფხულზე ჩვენმა მასწავლებლებმა?

ჩვენ მასწავლებლებს, როგორც პირველ დასაწყისი სკოლებისას ისე საშუალოსას საკეთებელი საქმე ზაფხულის თვეებში ყოველთვის ბევრი ჰქონდათ. იმას ვერ ვიტყვი, რომ არც პირველნი და არც მეორენი არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ დიდი და თვალ საჩინო ნაყოფი მათს მოქმედებას სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო სამწუხაროდ, ვერ მოჰქონდა რაც იყო, ამას ეხლა თავი დავანებოთ. ძველი რეჟიმი ყველას გვიბორკავდა ხელფეხს და დიდი მოწადინებულიც რომ ვყოფილიყავით საქმიანობას, მაინც ვერაფერს გავხდებოდით. ეხლა, საბედნიეროდ, დრონი იცვალენ, ძველი წეს-წყობილება საუკუნოდ დამხობილია და სასარგებლო საქვეყნო მუშაობისათვის თავისუფალი ასპარეზი გახსნილია. ყველაზე უმალ ქართველ ერს თავის სკოლის მოწყობა სჭირდება. განსაკუთრებით ჩვენში არსებულ საშუალო სკოლებს ეჭირვებათ რადიკალური გადაკეთება. სრულიად არ მოგვეპოება სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები, არ გვაქვს შესწავლილი სწავლების გეგმა ჩვენს ენაზე, ქართული ტერმინოლოგია თითქმის სრულიად არ არსებობს. ამ საქმეების გაუკეთებლად სკოლების ნაციონალიზაცია შეუძლებელია, ჩვენ გვესაჭიროება რეალი ნამდვილი ქართული სკოლა და არა ნომინალური, მარტო ქაღალდზე არსებული, ამ გარემოებას იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენელებმა ამ წლის 13 აპრილის ყრილობაზე ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს დაავალეს საჭირო სახელმძღვანელო წიგნების შედგენას შესდგომოდენ ამ ზაფხულზე. მარტო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები ამ ნიადაგზე ბევრს ვერას გახდებიან. ამისათვის ფრიად საჭიროა ყველა ქართველი პედაგოგები შეერთდნენ, ერთი კავშირი შეკრან, ამ კავშირის წევრები უნდა დაიყონ სხვა და სხვა სექციეებად. რომელთაც უნდა მიენდოს ამა თუ იმ დარგიდან სახელმძღვანელო წიგნების შედგენა. ამ საქმის მოუგვარებლად ეროვნული სკოლის განხორციელება შეუძლებელია. ამისათვის ამ საქმის დაყოვნება არ შეიძლება ყველამ ვისაც კი ჩვენი სამშობლო გვიყვარს, ეხლავე უნდა შევადგინოთ კავშირი საგანგებოდ ამ საქმისათვის და მუშაობას შევუდგეთ.

**მ. ბუაჩიძე.**

## სპარსელი ქართველები.

წერილი სპარსეთიდან.

I.

ჩვენ წავიკითხეთ „მოგზაურობა სპარსეთში" ვლადიმერ ურიაშვილისა და „ქართველები სპარსეთში", მეოთხე გამოცემა, ზ. ჭიჭინაძისა, მაგრამ ამ წიგნებში ჩვენ ვერ ვპოვეთ ამ სოფლების აღნუსხვა. ამიტომ ვუზიარებთ მკითხველს ამ ცნობას.

კასპის ზღვის პირას, სპარსეთში შვიდი ვერსის მანძილზედ, სოფ. **ხურაბადში** სცხოვრებენ ქართველი მაჰმადიანები. აქედან, 50 ვერსის მოშორებით, ზღვისავე პირას 8 ვერსის მოშორებით, სოფ. ზავადში, ცხოვრობს 30 კომლი ქართველი.

ამ სოფლის ქართველთა ბეგს სახელად აინალ ბეგი ეწოდება, ესეც ქართველია.

ამ სოფლის იქით, ზღვის პირიდან 100 ვერსის მანძილზე, ჩალუშის წყლის პირას სოფ, ორანგში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი. ჩალუშის წყლის პირიდან გზა გადის თეირანისაკენ, გზას ეწოდება „ძველი შაჰაბაზის გზა." ეს ადგილები ეკუთვნის სეფახტარს, რომელიც დღემდე სამხედრო მინისტრი იყო თეირანისა,

ამ შაჰაბაზის გზიდან 50 ვერსის მანძილზედ, მაღლა მთაზედ, სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვით 540 კომლი. ერთ სოფელს ეწოდება **დილარ** და მეორეს ინგრო. ამ ქართველთა ქართველ ბეგს სახელათ ეწოდებათ ალმა ბეგი, აშურ-ბეგ და ადაოლ-ბეგ.

ამ სოფლების იქით, 40 ვერსზედ, ერაგის თემში, არის სოფლები შანაიბრ, ოსარ, ყოიმან და სხვანი, სადაც სცხოვრობს 5000 ჭომლი ქართველი. აქ არის ორი ხანი ქართველი, ერთი რახიმ ხანი და მეორე მასიმ ხანი. კიდევ: ჩალუშის მხარეს ზღვის პირიდან, მაზანდარანისაკენ 60 ვერსის მანძილზედ სოფ. **ალამდე** და **სოლომედში** სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები რიცხვი მათი ვერ ავნუსხეთ.

ამ სოფლების იქით, 50 ვერსით, ქალაქ ბავრუვის სიახლოვეს, სოფელს **ამოლში** სცხოვრებენ ქართველ სპარსელები; რიცხვი მათი დიდია და მასთან უცნობი. ამ კუთხის შეყოლება გზებში გაფენილია სოფლები, სადაც სხვებთან ერთათ ქართველებიც ცხოვრობენ შერევით; რიცხვი მათი უცნობია. ამ თემის იქით, სავალჯურის რაიონში, სცხოვრობენ ქართველი სპარსელები, რიცხვით 300 კომლი. აქ მცხოვრებ ქართველებს შაჰაბაზისაგან ბოძებული ქურთებსა აქვს შესახებ მათის მამულების საკუთრებასა.

სარადან, მაზანდარანშივე ზღვიდან შვიდი ვერსის მანძილზე, არის, სოფელი, სახელათ „გერჯი მეპელე" აქ ცხოვრობს 800 კომლი ქართველი.

ამ სოფლიდან 9 ვერსის მანძილზე, ზღვის სიახლოვეს არის ქალაქი **ამრაფი** აქ არის დარჩენილი დიდი სასახლე შაჰაბაზისა და ციხე; ამ ციხის ირგვლივ სცხოვრებენ მთლათ ქათველი სპარსელები. აქ მათი რიცხვი 250 კომლზე მეტია. ამ კუთხიდან 70 ვერსის მანძილზე, ასტრაბადის თემში, ზღვიდან ხუთ ვერსზე არის სოფლები, სადაც სცხოვრობენ ქართველ სპარსელები. ამათ რიცხვი 200 კომლზე მეტია. ერთ სოფ. ბეშუსტა ეწოდება. ქართულათ ეს სახელი „ხუთ ხელოსანს" ნიშნავს. ეს ქართველები აქ მოუყვანიათ ამ-ტრაფიდან და დაუსახლებიათ· ამიტომაც ესენი თავიანთ თავს ამტრაფელებს უწოდებენ. კაზვინის ახლოს, 50 ვერსის მანძილზე, არის ქართველთ სოფლები. ხორასანში, მაჰმადის გზაზე არას აბას-აბტი, ეს სოფ. კარია მთელი სპარსეთისა. ამ კარში გავლას არავინასცდება სპარსეთში მიმავალი, ამიტომ აქ მოსახლეობენ ქართველებიც და ამის გამო იგინი თვალყურს ადევნებენ ქართველ სპარსელთა ცხოვრებას და იციან, თუ სად ვინ ცხოვრობს ქართველთაგანი. აქ მცხოვრებ ქართველთა რიცხვი 900 კომლზე მეტია. ქართველ სპარსელებს ზოგ ალაგს შეუნახავთ დღემდე ქართული ენა და ზოგ ალაგას დაუკარგავთ თუმცა ის კი ახსოვთ და თვითონაც ამბობენ, რომ ჩვენ ქართველთ შთამომავალნი ვართო, სპარსელებიც ამათ „გურჯებს" უწოდებენ, ესე იგი ქართველებს.

II.

დღნდი კაბუნის გუბერნიაში, ქართველ მაჰმადიანები უმეტესად მისდევენ ბრინჯის თესვას და ფორთოხლის მოშენებას და გამრავლებას. ესენივე თავიანთ შეძლების და გვარათ მისდევენ ხვნა-თესვასაც. პური მოჰყავთ იმდენი რამდენიც ეყოფათ თვით მათ.

მაზანდარანის თემში, ქართველი მაჰმადიანები უმთავრესად მისდევენ პურისა, ქერის და ბრინჯის მოყვანას ნამეტურ ამრავლებენ ფორთოხლის ხეებს.

ბარს ადგილებში მცხოვრები ქართველნი ასეთ საქმიანობას მისდევენ, უმეტესათ კი მეურნეობას და ხვნა-თესვას. მთიან ადგილებში მცხოვრებნი კი უმეტესათ მისდევენ მეჯოგობას, ჰყავსთ მრავლათ ცხვარი, თხა, ძროხა, ხარი, ისინი მისდევენ მერძეობას, აკეთებენ ყველს, ერბოს, მაწონს და ყველა ამაებს ასაღებენ ქართველ მაჰმადიანებსა და სპარსელებს შორის.

კაზვინის ახლოს და ამავ თემის მიდამოებში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები უმეტესად მისდევენ მევენახობას, მეხილეობას და მეურნეობას, ახმობენ ჩირს და მერე ყველა ასეთებს ჰყიდიან ქართველებსა და სპარსელებზედ.

მთელი სპარსეთის მიდამოები სავსეა ქართველთა სოფლების ნაშთებითა. ვერ ნახავთ შორს სადმე ან ხეობას, გინდ მთასა და თუნდ მიუვალ ადგილებს, რომ იქ ქართველთ ნასოფლარი არ იყოს, ამ გვარათ ქართველ ტომის სოფლები არამც თუ მარტო ერთ ალაგას მოიძებნება, არამედ მრავლათ და უხვათ მთელ სპარსეთის მიდამოებში. ამ გვარათ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სპარსეთში ქართველ სოფლების რიცხვს ათობით კი არ უნდა ვსძებნიდეთ და ოცობით, არამედ ასობით და ორასობით და ქართველ ტომის შთამომავალთაც ნახევარ და ერთ მილიონით.

ამის ცნობებს ნათლად გვაუწყებს იმ ნამდვილის ნახვა, რაც კი ქართველ ტომის შესახებ დღემდე სპარსეთის ველებსა, მინდორს და მთებს შუა დაშთენილა და გაფანტულ არის აქეთ-იქით ირგვლივ. ეს მოსაზრება საეჭვოთ არვინ მიიღოს მართალია ქართველ სპარსელების შესახებ, ქართველებს ორი წიგნი აქვს: ვ. აღნიაშვილის „მოგზაურობა სპარსეთში" და ზ. ჭიჭინაძის „ქართველები სპარსეთში", ხოლო ამ წიგნებში ქართველ სპარსელთა სოფლების არც მეასედია ანუსხული. ამიტომ ვალათ ვსთვლით, რომ აქ მოვიყვანოთ ქართველ სპარსელების შესახებ ყველა ცნობები. მართალია ის გარემოებაც, რომ სპარსეთის ამ ქართველთ სოფლებში, დღეს ქართული ენა აღარსად იხმარება ყველგან დაკარგულია და მოსპობილი იგი, ხოლო მათ ყველგან კი იციან ის გარდმოცემა, რომ იგინი ქართველების შთამომავალნი არიან და ერთის მხრით ამის მოგონება მათ მოსწონთ კიდეც დიდათ. ჩვენი მოსაზრება რომ ცხადია და სწორე, ამისთვის მოვიყვანთ ქართველთ სოფლების შესახებ შემდეგს ცნობებს:

ხორასანში, ბეშედის მიმავალს გზაზედ, არის ქართველი სპარსელების სოფელი **აბას აბატი**, ეს სოფელი კარი გარლური მთელის სპარსეთის, ამ კარში გავლას ვერც ერთი სპარსელი ვერ ასცილდება, ამ სოფელში სცხოვრობს 900 კომლზე მეტი ქართველთ ტომის შთამომავალი ქართველი სპარსელი. ეს ქართველები მისდევენ მხოლოდ ვაჭრობას, ანუ აღებ-მიცემობას. ამის მეტს სხვას არაფერს, ამიტომ იგინი აღებ-მიცემობაში კარგათ დახელოვნებულან.

თუმცა ეს ხალხი ვაჭრობას მისდევს, მაგრამ მათ მაინც აქვსთ პატარ პატარა ბაღები, ხვნა-თესვასაც იმოდენათ მისდევენ, რამდენათ ეს მათი ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგი. ხალხი შესანიშნავია მითაც, რომ მან ყველაზედ უკეთესად იცის, თუ სპარსეთის ველებსა, მიდვრებსა და მთებში სადა და რომელ ადგილებზედ ცხოვრობენ ქართველი სპარსელები, ან სად მოიპოვება ქართველი სოფლები, ცნობის მოყვარეთათვის დიდათ საინტერესო უნდა იყოს. საყურადღებოა მით უფრო, რომ ასე კარგათ ქართველთ სოფლების და ბინადრობის ცნობებით სპარსეთში ბევრს ახსოვს. ესენი ამით მადლიანი არიან.

მთელმა სპარსეთის ქართველ მაჰმადიანებმა კარგათ იციან ის გარემოება, რომ აბას-აბატი არის ერთი გზა, რაც მეკამელანას სალოცავად მიმავალი არას დროს ვერ ასცდება. ამიტომ აბას-აბატს აძლევენ ერთობ დიდს მნიშვნელობას. ეს გზა ქართველ სპარსელისათვის იმათ უფრო არის საყურადღებო, რომ ამ გზას ვერ ასცდება ვერც ერთი ქართველი სპარსელი და ამის საშუალებით ქართველებს შემთხვევა ეძლევათ, რომ ერთმანეთი გაიცნონ და იცოდენ ისიც, თუ მათი მონათესავენი სადა სცხოვრობენ.

უმთავრესათ ამ გზას ქართველისათვის ამიტომ უფრო აქვს დიდი მნიშვნელობა.

**ყარამან კიკნაველიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო

გაზეთ „სამშობლოს" 527 ნუმერში არის მოთავსებული წერილი ბ. „ნეიტრალი"-ს ამ სათაურით: ვინ არის მართალი"? ავტორი იმ წერილისა გთხოვს პასუხს ჭეშმარიტების და სიმართლის აღსადგენათ.

აი ჩემი პასუხი ჩემდამი მომართულ კითხვებზე.

ახალ-სენაკის ნორმალურ სასწავლებელში, სადაც ქართული ენა სავალდებულო არ არის, ბ. ენუქიძის მეცადინეობით 1905წ გახსნილ იყო მოსამზადებელი განყოფილება, რომელშიაც სწავლება „მხოლოდ" ქართულ ენაზე სწარმოებდა, სანამ კრუპსკი ამ განყოფილებას დახურავდა. მისივე განკარგულებით სასწავლებელში იყო შემოღებული დილაობით სახარების კითხვა და აგრეთვე ზოგიერთ ლოცვების ქართულათ გალობა. ქართულ ენის სწავლება სასწავლებელში საზოგადოთ, და კერძოთ ბ. ენუქიძის განყოფილებაში, კარგათ იყო დაყენებული. პირველ განყოფილების ბავშვები (დ. ენუქიძე ასწავლიდა) ეგზამენების დროს გამომეტყველებით (საუცხოვოთ) კითხულობდენ ლექსებს და საზოგადოთ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდენ. ერთხელ ბ. მაჭავარიანი (ყოფილი ინსპექტორი) შემოვიდა მე-ექვსე განყოფილებაში (მე ვასწავლიდი) სარევიზიოთ, მას მოყვა მისი ბიძა დიტო ჭალოყანიძე (ქართული გალობის მასწავლებელი ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში), მომთხოვა ქართული ენის რვეულები, გადაათვალიერა, ძალიან მოეწონა, უჩვენა თავის ბიძას და თან ჰკითხა: „ბიძიავ, თქვენ სასწავლებელში წერენ თუ არა ასეო?" დიტომ ვერაფერი უპასუხა და, როგორც ემჩნეოდა, გაუკვირდა, ალბათ, არ მოელოდა ისეთ კარგ-წერას ნორმალურ სასწავლებელში.

ბ. ენუქიძის მეცადინეობით ნორმალურ სასწავლებელში ქართულ ენის სწავლებისათვის მთავრობამ განსაკუთრებული თანხა გადადვა. რაც შეეხება სიძულვილს ქართულ ენისადმი ბ. ენუქიძის მხრით, ვიტყვი შემდეგს: სიძულვილი მის მოქმედებაში მე არ შემიმჩნევია, პირიქით, ავრცელებდა და თუ არ ვცდები, ეხლაც ავრცელებს სხვადასხვა ქართულ გამოცემებს. ახლაც არის აგენტი ჟურნალ „განათლებისა".

მე არ შემიმჩნევია ბ. ლაბარტყავას ენუქიძესთან უთანხმოება ქართული ენის გამოქომაგების გამო.

როგორც მოწაფეები აღიარებენ, ბ. ლაბარტყავას მხოლოდ ორ-ჯერ შეუსრულებია მთელი წლის განმავლობაში წერით სავარჯიშო ქართულ ენაში.

მეექვსე განყოფილებაში ბ. ლაბარტყავამ წლის ბოლოს, გამოცდის დროს, მიგვაცემია ისეთი ამოცანა, რომელიც უკვე ბავშვებს საკლასო რვეულებში გამოყვანილი ჰქონიათ, რაიცა მე თვითონ ვნახე და გადავათვალიერე და შევნიშნე, რომ გასწორებული იყო მასწავლებლისაგან.

ბ. ლაბარტყავას მასწავლებლობით არც ერთი რევიზორი, ბ. სლოვინსკიდან მოყოლებული ინსპექტორამდის, კმაყოფილი არ დარჩენილა. რა წილი მიუძღვის ენუქიძეს ლაბარტყავას გადაყვანაში სხვა სასწავლებელში, მე ვერ ვიტყვი, რადგანაც ამის საბუთი არაფერი მაქვს, მხოლოდ დაბეჯითებით შემიძლია ვსთქვათ, რომ ისედაც მოხდებოდა მისი (ლაბარტყავას) გადაყვანა სხვა სასწავლებელში, რადგანაც [illegible]

ახალ-სენაკის [illegible] სასწავლებლის მასწავლებელი

**მიხეილ პავლეს ძე თათარიშვილი.**

რედაქტორ გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

ს. ბუგეულის/რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

**განახლდა**

ძმ. წულუკიძეების **ბოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე სოხაძე.**

**ექიმები:**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

**ავათმყოფნი სუსუნატით.**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყობთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.** ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით, ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი**, როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერთგულესი **ი. ნ. კოლეგოვი.**

ტრევსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)